აღზრდის სტილის მიმართება იდენტობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან

ანა ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ბერიძე

30.05.24

აბსტრაქტი

პიროვნების ფსიქიკის ჩამოყალიბების, ფორმირების პროცესში ოჯახს და აღზრდის მეთოდებს მნიშვნელოვანი როლი აქვს, რადგან ბავშვობა არის პერიოდი, როცა საკუთარი თავის, სამყაროს შემეცნება მშობლებთან ურთიერთქმედებით ხდება. სწორედ ამ გარემოსა და მიდგომებზე არის დამოკიდებული ბავშვის როგორც ემოციური ისე კოგნიტური სფეროს განვითარება. აღზრდის სტილი განსაზღვრავს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს და ის შესაძლოა გამოყენებული იქნეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების პრევენციისა და ჩარევის გეგმის შექმნაში (Ding et al., 2024 & Peng et al., 2021). ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მზარდი სტატისტიკით ხასიათდება და ჩვენი დროის დიდ გამოწვევას წარმოადგენს (ვერულავა, 2016). საკითხის აქტუალობიდან და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია აღზრდის სტილის მიმართების კვლევა პიროვნების იდენტობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან.

წინამდებარე კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა. მასში მონაწილეობა მიიღო 150-მა ადამიანმა. ცვლადებს შორის მიმართების დასადგენად ჩატარდა კორელაციური და რეგრესიული ანალიზი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ავტორიტარული ოჯახის სტილს აქვს დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ნორმატიულ და დიფუზურ იდენტობის სტილთან. დემოკრატიული ოჯახის სტილი დადებითად კორელირებს ფსიქიკურ კარგად ყოფნასთან, ხოლო ოჯახის ჩაურეველი სტილი დადებით კორელაციაშია დიფუზური იდენტობის სტილსა და შფოთვასთან. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ნორმატიული იდენტობის სტატუსი უარყოფით კორელაციაშია კარგად ყოფნასთან და დადებით კავშირშია შფოთვასთან. დიფუზური იდენტობის სტილი უარყოფით კორელაციაშია კარგად ყოფნასთან და დადებით კავშირში შფოთვის დონესთან. ავტორიტარული ოჯახის სტილი მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს დიფუზური იდენტობის სტილის, შფოთვის და უარყოფითი პრედიქტორი ფსიქიკურ კარგად ყოფნის.

საკვანძო სიტყვები: აღზრდის სტილი, იდენტობის სტილი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, კარგად ყოფნა, შფოთვითი აშლილობა.

Abstract

The family and parenting methods play a significant role in the development and formation of an individual's psyche, as childhood is the period when self-awareness and the perception of the world are shaped through interactions with parents. Both the emotional and cognitive development of a child depends on this environment and approach. The parenting style determines the identity formation process and can be used in the prevention and intervention plans for mental health problems (Ding et al., 2024 & Peng et al., 2021). Mental health issues are characterized by increasing statistics and represent a significant challenge of our time (Verulava, 2016). Given the relevance and practical importance of this issue, the present study aims to investigate the relationship between parenting style, personal identity, and mental health.

This study is quantitative in nature and involved 150 participants. Correlational and regression analyses were conducted to determine the relationships between the variables. The results of the study showed that the authoritarian parenting style has a positive and statistically significant relationship with the negative and Diffusion identity style. The democratic family style positively correlates with mental well-being, while the uninvolved parenting style is positively correlated with the diffusion identity style and anxiety. The study found that the normative identity status negatively correlates with well-being and positively with anxiety. The diffusion identity style negatively correlates with well-being and positively with anxiety levels. The authoritarian family style is a significant predictor of the Diffusion identity style, anxiety, and a negative predictor of mental well-being.

Keywords: Parenting style, Identity style, Mental health, Well-being, Anxiety disorder

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.